GOV 8 19 00045274

12/11/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 12 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბ-ნი გიორგი გახარიას, ხელმძღვანელობით გაიმართება **დონორთა ყოველწლიური ფორუმი,** რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთავრობის წევრები, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და წევრები, დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები. ღონისძიების თანათავმჯდომარეა გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში, ქ-ნი საბინე მახლი.

ფორუმის პირველი ნაწილი მიზნად ისახავს **პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების** სტრატეგიული დიალოგის წარმართვას დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და მათი ინფორმირებულობის გაზრდას სახელმწიფო პრიორიტეტების, მიმდინარე რეფორმების და ახალი ინიციატივების შესახებ.
ფორუმის მეორე ნაწილის ფარგლებში („მრგვალი მაგიდის“ ფორმატი) განიხილება ქვეყანაში არსებული საგარეო დახმარების საკოორდინაციო მექანიზმები და საგარეო დახმარების მართვის მონაცემთა ბაზა (eaims.ge). ამ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ **მხოლოდ მინისტრი ს მოადგილეები, დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები** და **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები**.

გთხოვთ, მიმდინარე წლის **20 ნოემბრამდე** დაგვიდასტუროთ ფორუმში თქვენი მონაწილეობა.

თანდართული დოკუმენტის სახით გიგზავნით ღონისძიების დღის წესრიგის სამუშაო ვერსიას დეტალური განმარტებებით.

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორების კოორდინაციის სამმართველოს ელექტრონულ მისამართზე dcu@gov.ge (საკონტაქტო პირი: ქეთევან ცანკაშვილი, ktsankashvili@gov.ge; +995 555 947 604).

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
ნათია მეზვრიშვილი